რა არის აგროტურიზმი?

სტატიის ავტორი **მაია ბლიაძე**

თანამედროვე ცხოვრების აჩქარებული რიტმი დიდ გავლენას ახდენს ადამიანის სულიერ თუ ფიზიკურ მდგომარეობაზე. ამიტომ, ხშირად გვიჩნდება სურვილი, რომ პერიოდულად მშვიდ, წყნარ გარემოში დავისვენოთ და აგროტურიზმით დავკავდეთ.
აგროტურიზმი ტურიზმის ერთ-ერთი სახეობაა. აგროტურისტის მიზანია, იცხოვროს ადგილობრივ მოსახლესავით, იკვებოს და იმუშაოს მასთან ერთად, მოწველოს ძროხა, დაამუშაოს მიწა, ანუ გარკვეული დროით, გახდეს მასპინძლის ოჯახის წევრი.

აგროტურიზმი, როგორც ტურიზმის ერთ–ერთი ძირითადი მიმართულება, XX საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა ევროპის დიდ ინდუსტრიულ ქალაქებში, სადაც მცხოვრებთა მნიშვნელოვან ნაწილს სოფლიდან ჩამოსული მოსახლეობის მესამე თაობა წარმოადგენდა. სოფლად დასვენების მსურველნი არჩევდნენ მიმზიდველ რეგიონებს საზღვარგარეთ და იხდიდნენ ქირას; შესაბამისად, მასპინძელ ოჯახებს შემოსავალი უჩნდებოდათ.

ევროპაში აგროტურიზმი კარგად არის განვითარებული. ამ დარგს ეკონომიკური კრიზისიც ვერაფერს აკლებს. მაგალითად, იტალიაში ეკონომიკურმა კრიზისმა შეამცირა სხვადასხვა სფეროს შემოსავალი, მაგრამ აგროტურიზმში ჩართული ფერმერების შემოსავალი უცვლელი დარჩა. მსოფლიოში ტურიზმით მიღებული შემოსავლის 20%-დან 40%-მდე სწორედ სოფლის ტურიზმის წილად მოდის. ამჟამად, აგროტურიზმის მიმართულებით, მსოფლიოში ლიდერი ქვეყნებია: ესპანეთი, იტალია, საფრანგეთი, შვეიცარია, ხორვატია, კვიპროსი, საბერძნეთი. ბევრ ქვეყანაში ფერმერებსა და ტურისტებს შორის ურთიერთობა WWOOF (ინგ. World Wide Opportunities on Organic Farms) პროგრამის მეშვეობით ხორციელდება. დღეისათვის ამ პროგრამაში მსოფლიოს 52 ქვეყანაა ჩართული. ორგანიზაციის ინტერნეტ მისამართია: http://www.wwoof.net

სხვადასხვა ქვეყანაში აგროტურიზმს სხვადასხვა ტერმინით მოიხსენიებენ: ინგლისსა და ზოგიერთ ინგლისურენოვან ქვეყანაში მას "სოფლის ტურიზმს" (Rural Tourism) უწოდებენ, გერმანულენოვან ქვეყნებში მიღებულია ტერმინი "Bauernhoftourismus", რაც სიტყვასიტყვით „გლეხის კარ-მიდამოში ტურიზმს“ ნიშნავს, რომანულენოვანი ქვეყნები კი უპირატესობას “აგროტურიზმს” ანიჭებენ, რომელიც ლათინური წარმომავლობისაა და მომდინარეობს სიტყვა "აგრო"-დან (agros) და მისგან ნაწარმოები "აგრარული"-დან (agrarius – სასოფლო-სამეურნეო).
სოფლის ტურიზმი (ფერმერული ტურიზმი ან ბუნების ტურიზმი) გულისხმობს ტურისტთა ჯგუფების მოგზაურობას სოფლად, ცენტრებიდან მოშორებულ დასახლებებში, ადგილობრივი ტრადიციებისა და სოფლის ცხოვრების გასაცნობად. ამ შემთხვევაში, ტურისტული ობიექტების

მეპატრონე და მმართველი სოფლის მცხოვრებია. ფერმერული ტურიზმი ითვალისწინებს ტურისტების დაბინავებას ფერმერთა სახლებში, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გაცნობის მიზნით. მაგალითად, ტურისტები ფერმერებთან ერთად გადიან პლანტაციებში, ვენახებში, აკვირდებიან მათ შრომას და თვითონაც ეხმარებიან. ზოგს მეთევზეთა დასახლებებში ცხოვრება და მათთან ერთად სათევზაოდ სიარული მოსწონს.
აგროტურიზმი გამორჩეულია იმით, რომ დასვენება შედარებით მცირე დანახარჯით შეიძლება. ტურისტმა შესაძლოა, იცხოვროს გლეხის ძველ სახლში და მიმტანის ნაცვლად მას დიასახლისმა უმასპინძლოს. სტუმარი მიირთმევს ადგილობრივ ნატურალურ პროდუქტს: ხილს, ბოსტნეულს, შინაურ ყველს, ხორცსა და ხორცპროდუქტებს, შინ დაყენებულ ღვინოს, .

სასოფლო ტურები ბავშვებისთვისაც საინტერესოა. ისინი აკვირდებიან შინაურ ცხოველებს, სეირნობენ ცხენებით, სწავლობენ სხვადასხვა საქმეს, მაგალითად, ყველის ამოყვანას ან პურის გამოცხობას. სურვილის შემთხვევაში, ტურისტები ეროვნული კერძების მომზადებასაც ეუფლებიან.

აგროტურიზმი იმითაც არის საინტერესო და მომგებიანი, რომ მას არ აბრკოლებს წელიწადის დროების მონაცვლეობა. ხშირად აგროტურისტული მეურნეობები ისტორიული და კულტურული ძეგლების საიხლოვეს ვითარდება. შესაძლებელია ისეთი ტურისტული აქტივობების ორგანიზება, როგორიცაა ცხენოსნური ლაშქრობა, ღვინის დაწურვა, ჩურჩხელების ამოვლება, მუზეუმების დათვალიერება და ა.შ.. ეს ყველაფერი ტურისტისთვის მიმზიდველი იმიტომ არის, რომ ის თვითონ არის ჩართული პროცესში.

აგროტურიზმის მახასიათებელია ატრაქციულობა ანუ მიმზიდველობა; მისი შემადგენელი ძირითადი კომპონენტებია მოსახლეობა და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი. აგროტურიზმის განვითარებისთვის მთავარია, ტურისტების ცხოვრებისა და დასვენებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა სოფლად მდებარეობდეს; ადგილზევე იწარმოებოდეს საკვები პროდუქტები და შენარჩუნებული იყოს ტრადიციული ტექნოლოგიები.

საქართველოში აგროტურიზმის პერსპექტივისა და, ზოგადად, დარგის მდგომარეობის გასაანალიზებლად, თვალი გადავავლოთ ჩვენი ქვეყნის შესაძლებლობებს. საქართველოს საკმაოდ დიდი ტურისტული პოტენციალი აქვს: 102 კურორტი; 182 საკურორტო ზონა; 2400 მინერალური სამკურნალო წყლის წყარო; 12000 ისტორიული და არქიტექტურული ძეგლი, რომელთაგან 3 შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლთა ნუსხაში; 11 ეროვნული პარკი; 41 ბუნებრივი ძეგლი; 2 დაცული ლანდშაფტი და ა.შ.. არსებული რესურსული პოტენციალიდან გამომდინარე, ჩვენს ქვეყანაში აგროტურიზმის განვითარება პერსპექტიულია.

ამჟამად, აგროტურიზმი საქართველოში ჩამოყალიბების ეტაპზეა. ბოლო წლებში ქვეყანაში უცხოელი ვიზიტორები, ძირითადად, მთისა და ზღვის კურორტებზე დასასვენებლად და ისტორიული და კულტურული ძეგლების მოსანახულებლად ჩამოდიან, თუმცა საქართველოს, როგორც აგრარული ტრადიციების ქვეყანას, აქვს შესაძლებლობა, აგროტურიზმიც განავითაროს. მარკვეულწილად, აგროტურიზმმა ჩვენთან უკვე მოიკიდა კიდეც ფეხი.
თუმცა, ამ სფეროში გვაქვს სუსტი მხარეებიც და მთავარი სოფლად შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობაა. ამის მიუხედავად, თუ აგროტურიზმი განვითარდება, მცირე ფერმერებს შეეძლებათ, სარგებელი ნახონ და მცირე ფერმერული მეურნეობები მომგებიან კომერციულ საქმიანობად

აქციონ. რამდენიმე ტურისტული კომპანია და საოჯახო სასტუმრო უცხოელ და ადგილობრივ ტურისტებს უკვე სთავაზობს აგროტურებს, რაც გულისხმობს რთველში მონაწილეობას, ყურძნის დაწურვას, ჩურჩხელების ამოვლებას, ყველის ამოყვანას და თაფლის ამოღებას. სპეციალისტების აზრით, ჩვენს ქვეყანაში ფართოდ შეიძლება აგროტურიზმის განვითარება, რითაც სოფლის მეურნეობის განვითარებასაც შეეწყობა ხელი.